



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

თორნიკე კაპანაძე

ამბრავთა მრავალკონტურიანი სისტემების
მოდელირება და დინამიკური სინთეზი მოცემული
გარდამავალი პროცესების მიხედვით

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია

შიფრი 0715

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2022 წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერია

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თორნიკე კაპანაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ამბრავთა მრავალკონტურიანი სისტემების მოდელირება და დინამიკური სინთეზი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2022 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოც. პროფესორი ხათუნი ამყოლაძე

რეცენზენტი: პროფესორი ვაჟა ქირია

რეცენზენტი: ტმკ ბელა ნავროზაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022წ

ავტორი: თორნიკე კაპანაძე

დასახელება: ამბრავთა მრავალკონტურიანი სისტემების მოდელირება და დინამიკური სინთეზი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით

სადოქტორო პროგრამა: მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის

დოქტორი

სხდომა ჩატარდა _____

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დამახასიათებელი ტენდენციებია ეფექტური ტექნოლოგიების, ავტომატიზებული მანქანებისა და მანქანათა სისტემების დანერგვა. ეს ტენდენციები შესაბამისად ხასიათდებიან ავტომატიზებული (მათ შორის მაკოპირებელი და პროგრამული მართვის) ჩარხების, საჩარხო ხაზების და საჩარხო რობოტოტექნიკური სისტემების სატრანსპორტო მოწყობილობების და ა. შ. ფართო დანერგვით.

როგორც ცნობილია, საწარმოო და სატრანსპორტო მანქანების ძრითადი ფუნქციონალური ელემენტებია ავტომატიზებული ამძრავები.

მრავალკონტურიანმა, მრავალგანზომილებიანმა ავტომატიზებულმა ამძრავებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს რთულპროფილიანი დეტალების დამამუშავებელ ჩარხებში.

აქვე აღნიშნულია, რომ თუ რთულპროფილიანი საავიჯო დეტალების დასამუშავებელ მოწყობილობებში ფართო გამოყენება ჰპოვეს ჰიდრავლიკურმა და ჰიდრომექანიკურმა ამძრავებმა, ამასთან ერთად სხვადასხვა სახის საჩარხო ტექნოლოგიურ სისტემებში ფართოდ ინერგებიან ასევე ელექტრომექანიკური მოთვალთვალე ამძრავები, რომელთა მეშვეობითაც ეფექტურად ხორციელდება მათი ჩართულობა ტექნოლოგიური პროცესების პროგრამული მართვის სისტემებში.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს

თანამედროვე ავტომატიზებულ მანქანებში და მანქანათა კომპლექსებში ფართოდ გამოყენებული ამძრავთა, კერძოდ რთულპროფილიანი დეტალების დამამუშავებისათვის გამიზნული მრავალგანზომილებიანი, მრავალკონტურიანი მაკოპირებელი და პროგრამული მართვის ჩარხებში და რობოტოტექნიკურ სისტემებში მომუშავე მრავალკონტურიანი მოთვალთვალე სისტემების ახალი სქემების და მოდელების, დინამიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდების შემუშავება, მიმართული განსახილველი კვლევის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ.

აღნიშნული მიზნის მიმართულებით კვლევის ამოცანებში ჩართულია:

- ❖ ამძრავთა საკვლევი სისტემების ფუნქციონირების, სტრუქტურული და კინემატიკური აგების, მათი ანალიზის და სინთეზის, მეთოდების და მეთოდოლოგიის ანალიზი და კვლევის ამოცანების ფორმირება;
- ❖ რთულპროფილიანი ზედაპირების დამამუშავებისათვის გამიზნული პროცესების ფუნქციონალური ანალიზი და როგორც შედეგი სამკოორდინატიანი კოპირების როტორულ-სახეხი ჩარხის ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე ამძრავის ცალკეული ელემენტებისა და მთლიანობაში სისტემის მოძრაობათა სტრუქტურული მოდელის შემუშავება;
- ❖ საკვლევი ჩარხის მრავალგანზომილებიან მოთვალთვალე ამძრავში სახეხი პნევმოცილინდრების, ნამზადის ზედაპირთან კონტაქტის წერტილების, პნევმოცილინდრების ღერძების, საჩარხო როტორისა და მმართველი რგოლის ფარდობით მოძრაობათა ამსახველი კინემატიკური

დამოკიდებულებების შემუშავება ნამზადის გრძივი და როტორის ბრუნვითი მოძრაობების პროცესებთან ურთიერთკავშირში;

❖ ცალკეული ფუნქციონალური ელემენტებისა და ცალკეული კოორდინატების ჰიდრომექანიკური მექანიზმების მოდელის ანალიზისა და მათი შეთანწყობით მთლიანი მოთვალთვალე სამკოორდინატიანი კოპირების ჰიდრომექანიკური სისტემის დინამიკური მოდელის შემუშავება;

❖ რთული სტრუქტურის საკვლევი ელექტრომექანიკური ამძრავის დინამიკური მოდელირება რეგულირებისა და მართვის მაძლიერებელი და გარდამქმნელი ელემენტების ცალკეული მოდელის შერწყმით მექანიკური ნაწილის დრეკადრგოლებიანი აპროქსიმაციულ მოდელებთან;

❖ მიღებული მოდელის გამოყენებით განხილვადი მოთვალთვალე სისტემების გადამცემი ფუნქციების, დინამიკური სტრუქტურული სქემების ანალიზის დინამიკური სინთეზის ორიგინალური მეთოდების და მეთოდიკების შემუშავება.

ჩატარებულია განხილვადი საჩარხო მოთვალთვალე სისტემების დინამიკური მოდელირებისა და კვლევის საკითხების მიმოხილვა. გაანალიზებულია, როგორც მექანიკური ელემენტების, აგრეთვე მთლიანი დინამიკური სისტემების აგებისა და კვლევის ძირითადი მეთოდიკები და მეთოდები.

ნაშრომის ძირითად ნაწილში ჩატარებულია ჰიდრავლიკური მრავალგანზომილებიანი მრავალკონტურიანი ამძრავთა მოთვალთვალე სისტემებით აღჭურვილი მაკოპირებელი ჩარხების სტრუქტურული და კონსტრუქციული, გამოყენებული ჰიდრავლიკური ამძრავების მოდელის და გარდამავალი პროცესების ხარისხობრივი ანალიზი.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე განხილვაში შემოტანილია სამკოორდინატიანი კოპირების ჰიდრომექანიკური ამძრავით აღჭურვილი საჩარხო სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა რათა განხორციელებული იქნას რთული სივრცითი სახის მრუდწირულ-ფასონურ პროფილის მქონე დეტალების მაკოპირებელი დამუშავება.

კოპირების დინამიკურ პროცესში ცალკეული რგოლების ფარდობით მოძრაობათა ანალიზის შედეგად გამოვლენილია დინამიკური მოდელის აგებისათვის საჭირო განზოგადოებული კოორდინატები. შემუშავებულია პოტენციალური და კინემატიკური ენერგიების, დისიპაციური ფუნქციებისა და ძალთა განზოგადოებული გამოსახულებები და მათი ადრე გამოვლენილ მდებარეობათა ფუნქციების შეთანწყობით ლაგრანჟის მეორე რიგის განტოლებაში შემუშავებულია მმართველი რგოლის დინამიკის მათემატიკური მოდელი. შემუშავებული იქნა აგრეთვე საკვლევი სისტემის მოთვალთვალე ჰიდრავლიკური ელემენტების დინამიკის აღწერისათვის საჭირო კანონზომიერებები. მიღებული გამოსახულებების გამოყენებით შემუშავებული იქნა მთლიანი სამკოორდინატიანი კოპირების ჰიდრომექანიკური სისტემის დინამიკის მათემატიკური მოდელი.

საკვლევი მაკოპირებელი მოწყობილობის ფუნქციონალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემდგომი კვლევების თვალსაზრისით საქმე გვაქვს

რთული სამრეწომიან მოთვალთვალე სისტემასთან: დინამიკის შემუშავებული მოდელების ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია საკვლევი დინამიკური სისტემების სინთეზის გამოყენებითი თეორია. კვლევის ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით ნაშრომში ჩანს გამოკვლევების გარკვეული წრე, რომლებმაც წარმოაჩინეს სინთეზის შემუშავებული მეთოდოლოგიის ეფექტურობა. თანამედროვე ჩარხებში და რობოტოტექნიკურ სისტემებში ფართოდ გამოყენებულ ამდრავთა ელექტრომექანიკურ სისტემებთან მიმართებაში არსებული კვლევების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი მიგვითითებს იმაზე, რომ ამ სისტემათა ტექნიკური მაჩვენებლების ამადლების თვალსაზრისით მეტად აქტუალურია ამ სისტემათა მექანიკურ ნაწილში არსებული დრეკადი კავშირების გათვალისწინება და მათი ეფექტური შეთანწყობა მთლიანი სისტემის დინამიკური მოდელირებისა და დინამიკური კვლევის საკითხებთან.

შემუშავებულია რხევითი მდგენელის გამოყოფაზე აგებული მათემატიკური მოდელი, რომლის თანახმად სისტემას ვიხილავთ ორკონტურიანის სახით და რომელშიც შიგა კონტური წარმოადგენს ხისტი რგოლებიანი მექანიკური სისტემის სტრუქტურას.

ცნობილი დინამიკური კვლევების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია საკვლევი ელექტრომექანიკური სისტემის დინამიკური კვლევის ორიგინალური მეთოდოლოგია, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: შიგა კონტურის პარამეტრული ანალიზი და სინთეზი დაქვემდებარებული რეგულირების თეორიის და ასევე, მთლიანი სისტემის გარდამავალ პროცესებში აღძრული რხევით მოძრაობათა პარამეტრების კვლევა. აღნიშნულია შემუშავებული მეთოდოლოგიის მიზანშეწონილობა როგორც პარამეტრული ანალიზის, ასევე სინთეზის მიმართულებით.

Abstract

Modern tendencies in scientific technical progress are characterized by a wide implementation of effective technologies, automated machines and devices. Are implementing automated copying and program control machine tools, lines and robotic robotics systems, automated transport equipment, etc.

As is commonly known, the main functional elements of industrial and transport vehicles are automated drivers.

Multi-contour multidimensional automated drives have been widely used in complex shape detail's processing on machine tools.

It also states that in devices for processing of complex shape furniture details were widely used hydraulic and hydro-mechanical follow-up drive, in addition with a variety of technological systems has been widely implemented in follow-up and electromechanical drives that are carried out effectively through their involvement in programmed control systems.

The purpose of the paper is

The modern automated machines and machine complexes are widely used in the drive, in particular in complex shaped details intended for processing multidimensional multi-contour reproduction and control programs and the machine robotic systems operational multi-contour follow-up schemes and systems for new models, dynamic annals and synthesis methods, the research directed towards to improving the quality and efficiency.

In order to achieve the stated goal, the following research tasks are involved:

- Analysis of the functionality, structural and kinematic structure of the drive systems, their dynamic research methods and methodologies, and the formulation of the research tasks;
- Functional analysis of processes intended for the processing of complex-shaped surfaces and, as a result, the development of individual elements of the three-coordinate rotor-grinding rotary-machine hydraulic actuator drive and a structural model of whole system's movements;
- Development of kinematic dependencies of the longitudinal and rotational movements of the preprocessor in the multidimensional follow-up drive of grinding pneumatic cylinders, point of contact with the surface, pneumatic cylinders axes, anchor rotor and control inot relative rotational movements;
- Development of models of separate functional elements and separate coordinate hydromechanical mechanisms and their dynamic modeling of a fully integrated three-coordinate copy hydraulic system;
- Dynamic modeling of the electromechanical drive for studying the complex structure by combining separate models of regulation and control elements with approximation models with elastic links in mechanical part;
- Develop of original methods and techniques for analyzing the transmission functions of dynamic computational systems, dynamic structural circuits using the obtained models.

Issues related to modeling and research of dynamic quadratic systems are considered. The basic methods and methods of constructing and researching both the mechanical part and the whole dynamic systems are analyzed.

Structural and constructive analysis of copy machine tools with multidimensional multi-contour follow-up drive computing systems, applied hydraulic drive models and transient processes is carried out in the work.

Based on the carried out analysis, a three-coordinate copy drive system equipped with a hydraulic drive is introduced on consideration for the processing of details of a complex spatially curved profile.

By analyzing the relative motion of individual links in the dynamic process of copying, generalized coordinates is necessary to construct dynamic models are identified. Generalized images of potential and kinematic energies, dissipative functions, and forces are developed, and in accordance with the functions of their previously identified locations, a second-order Lagrangian equation mathematically models the dynamics of the control unit. The necessary rules for describing the dynamics of the hydraulic elements of the study system were also developed. Mathematical models of the dynamics of the whole three-coordinate copy hydraulic system were developed using the obtained images.

Functional analysis of the research copying device shows that for further research we are considering with a complex three-dimensional follow-up system: a qualitative analysis of the dynamics models developed provides a useful theory of the dynamics of the systems studied. In terms of the practical realization of the determined research methodology, a number of research studies have demonstrated the effectiveness of the developed synthesis methodology. Robotic systems and modern machine tools is widely used in electromechanical follow-up drive systems with regard to the qualitative and quantitative analysis of existing studies indicate that these systems improve the technical properties of this system is the most relevant part of the flexible mechanical connections into account and the layout of the entire system dynamic modeling and dynamic research issues.

A mathematical model is developed based on the construction of outlining the oscillator component, according to which the system will be viewed in two-contoured form and the inner contour represents the structure of a rigid link of mechanical system.

Based on the known dynamic analysis of the research work presents the study of the dynamic electromechanical system of the original methodology of the study, whose main components are: the inner contour parametric analysis and synthesis of theory and subject to the regulation of the entire system of transitional processes instituted by oscillating movements research settings a. The feasibility of the developed methodology in both parametric analysis and synthesis is indicated.

შინაარსი

შესავალი	11
1. ლიტერატურული მიმოხილვა	
1.1 ამძრავთა სისტემები მექანიკის ინჟინერიაში	16
1.2. მექანიზმების, ამძრავების და მანქანების პროექტირებისა და კვლევის საკითხები	23
2. შედეგები და მათი განსჯა	
2.1. ჰიდრავლიკური მრავალკონტურიან მრავალგანზომილებიანი ამძრავთა სისტემებით აღჭურვილი მაკოპირებელი ჩარხები	31
2.2. ჰიდრავლიკური და ელექტროჰიდრავლიკური ამძრავების მოდელის და გარდამავალი პროცესების ხარისხობრივი ანალიზი	38
2.3. მაკოპირებელი ჩარხის მრავალკონტურიანი მოთვალთვალე ამძრავის დინამიკური მოდელირება	51
2.3.1. მოთვალთვალე სისტემის დინამიკური მოდელირება სამკოორდინატიანი კოპირების რეჟიმში	51
2.3.2. მათემატიკური მოდელირება ორ- და ერთკოორდინატიანი კოპირების რეჟიმში	60
2.3.3. სამკოორდინატიანი კოპირების გაწრფივებული გასაშუალებებული მოდელის შემუშავება	73
2.4. ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე სისტემის დინამიკური კვლევა.....	73
2.4.1. დინამიკური სტრუქტურული სქემა და სისტემის გადამცემი ფუნქციები	78
2.4.2. საკვლევი სისტემის დინამიკური სინთეზი მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით	87
2.5. საჩარხო ელექტრომექანიკური ამძრავის დინამიკური კვლევა	98
2.5.1. დინამიკური მოდელის შემუშავება.....	98
2.5.2. დინამიკური კვლევა გარდაქმნილი მოდელის გამოყენებით.....	100
3. დასკვნები	119
გამოყენებული ლიტერატურა	123

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. ორკოორდინატიანი კოპირების სახეები ჩარხი	22
ნახ. 2. მაკოპირებელი ჩარხის კინემატიკური სქემა	32
ნახ. 3. ჰიდრომოთვალთვალე მექანიზმის სქემა ბრტყელმრუდწირულ ფასონური დეტალებისათვის	33
ნახ. 4. სამკოორდინატიანი კოპირების საჩარხო სისტემის კინემატიკური სქემა	34
ნახ. 5. მაკოპირებელი ჩარხის სივრცითი კინემატიკური სქემა	37
ნახ. 6. დროსელური რეგულირების ჰიდროამძრავი	38
ნახ. 7. მუდმივი წნევის კვების წყაროიანი ჰიდროამძრავის სტატიკური მახასიათებლები	40
ნახ. 8. მარტივი ცილინდრის სქემა	41
ნახ. 9. ა) მკვეთარა გამანაწილებლიანი ჰიდროცილინდრი; ბ) ჰიდრავლიკური სიხისტის დამოკიდებულება დგუშის გადაადგილებასთან	42
ნახ. 10. ფარდობით მოძრაობათა კინემატიკის სქემა	52
ნახ. 11. ფარდობით მოძრაობათა კინემატიკის სქემა	61
ნახ. 12. ფარდობით მოძრაობათა კინემატიკა	69
ნახ. 13. გაწრფივებული სისტემის სტრუქტურული სქემა	80
ნახ. 14. გაწრფივებული სისტემის გარდაქმნილი სტრუქტურული სქემა	86
ნახ. 15. სინთეზის შედეგად მიღებული ფუნქციონალური დამოკიდებულებები: $1 - k_v(Z_m)$; $2 - k_{px}(Z_m)$; $3 - k_{vy}(Z_m)$	92
ნახ. 16. საგნობრივი სიხშირული მახასიათებლები	94
ნახ. 17. გარდამავალი პროცესების მრუდები	94
ნახ. 18. სისტემის სტრუქტურული სქემა	95
ნახ. 19. გარდაქმნილი სტრუქტურული სქემა	96
ნახ. 20. ელექტრომექანიკური სისტემის სტრუქტურული სქემა	106
ნახ. 21. სისტემის სტრუქტურული სქემა	110
ნახ. 22. გარდაქმნილი სტრუქტურული სქემა	111
ნახ. 23. გამსხვილებული სტრუქტურული სქემა	112

შესავალი

სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დამახასიათებელი ტენდენციებია ეფექტური ტექნოლოგიების, ავტომატიზებული მანქანების და მანქანათა სისტემების ფართო დანერგვა, ეს ტენდენციები ხასიათდებიან ავტომატიზებული (მაკოპირებელი და პროგრამული მართვის) ჩარხების, საჩარხო ხაზების და რობოტოტექნიკური სისტემების, სატრანსპორტო მოწყობილობების და ა.შ. ფართო დანერგვით.

როგორც ცნობილია მრავალწილად საწარმოო და სატრანსპორტო მანქანების ძირითადი ფუნქციონალური ელემენტებია ავტომატიზებული ელექტრომექანიკური, ჰიდრო, პნევმო, ელექტროჰიდრო და ელექტროპნევმო ამძრავები. აღნიშნული ამძრავები მრავალწილად მიეკუთვნებიან სტრუქტურულად რთულ ტექნიკურ სისტემებს. ამასთან დაკავშირებით მანქანა-დანადგარების სტრუქტურა და კონსტრუქცია მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ამძრავთა სისტემების სტრუქტურასა და კონსტრუქციულ აგებულებასთან.

თავის მხრივ ამძრავთა სისტემები განისაზღვრებიან მანქანათა მიერ შესასრულებელი საწარმოო და სატრანსპორტო პროცესების სტრუქტურული და კინემატიკური სირთულით და მათი დინამიკური მაჩვენებლებით.

საწარმოო ტექნოლოგიურ მანქანების ამძრავთა სისტემების შემუშავება მჭიდრო კავშირშია საწარმოო პროცესების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და მუშათა შრომითი პირობების გაუმჯობესებასთან, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის გამიზნული მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვასთან.

ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც გარკვეულწილად ხასიათდებიან მნიშვნელოვანი სირთულებით, როგორც სტრუქტურის, ასევე კინემატიკის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით, განეკუთვნებიან თანამედროვე ტექნიკაში, კერძოდ კი - საავიჯო წარმოებაში ფართოდ გამოყენებული რთულპროფილიანი ზედაპირების დამუშავების პროცესები.

ცნობილია, რომ რთულპროფილიან ზედაპირების ფორმაწარმოქმნაში ძალიან დიდი ფართო ტექნოლოგიური გამოყენება ჰპოვა მექანიკურმა დამუშავებამ, რის მიხედვითაც საკოპირე მექანიზმების, მაკოპირებელი ჩარხებისა და საჩარხო სისტემების შექმნა და მათ შემდგომ სრულყოფას მიეკუთვნებენ საკმაოდ მნიშვნელოვან საინჟინრო-ტექნიკურ ამოცანებს.

მრავალკონტურიანმა, მრავალგანზომილებიანმა ამძრავებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს რთულპროფილიანი დეტალების დამამუშავებელ ჩარხებში.

შემუშავებული და შემუშავების პროცესში მყოფი საჩარხო მოწყობილობების და მათი ამძრავთა სისტემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებული მოთვალთვალე ამძრავების და საჩარხო სისტემების სტრუქტურული სქემები და კონსტრუქციები მიუხედავად მათი მრავალფეროვანებისა მოითხოვენ კონკრეტული სახის ზედაპირებისათვის უფრო ეფექტურ ფუნქციონალურ და სტრუქტურულ რეალიზაციებს.

აღსანიშნავია, რომ მაკოპირებელ საჩარხო სისტემებთან ერთად, პარალელურად ფართოდ ინერგება ციფრული პროგრამული მართვის ჩარხები და რობოტოტექნიკური სისტემები, რომლებიც ფართოდ გამოიყენებიან დეტალების დამამუშავების და ტექნოლოგიური პროცესების პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

ამძრავთა მრავალი სახის კონკრეტული საჩარხო მოთვალთვალე მაკოპირებელი სისტემების შემუშავებასთან და კვლევასთან დაკავშირებული ნაშრომების მიმოხილვა მიგვითითებს იმაზე, რომ თუ რთულპროფილიან საავეჯო დეტალების დასამუშავებელ მოწყობილობებში ფართო გამოყენება ჰპოვეს ჰიდრავლიკურმა და ჰიდრომექანიკურმა სისტემებმა. აღნიშნულთან ერთად სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ სისტემებში ფართოდ ინერგებიან ამძრავთა ელექტრომექანიკური და ელექტროჰიდრომექანიკური მოთვალთვალე ამძრავები, რომლებიც ხასიათდებიან საკმაოდ მაღალი დინამიკური და საექსპლუატაციო მახასიათებლებით, ეფექტურად ხორციელდება მათი ჩართულობა ტექნოლოგიური პროცესების პროგრამული მართვის სისტემათა კონტურებში.

პროექტირებისა და კვლევის მიმართ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსახილველი მრავალკონტურიანი მრავალგანზომილებიანი მაკოპირებელი ამბრავები მიეკუთვნებიან სტრუქტურულად რთულ სისტემებს. პროგრამული მართვის საჩარხო და რობოტო-ტექნიკურ სისტემებში გამოყენებული ელექტრომექანიკური ამბრავების ტექნიკური მახასიათებლები უმეტესად განპირობებულნი არიან დრეკადი კავშირებით სისტემათა მექანიკურ ნაწილებში.

ამბრავთა განხილური სისტემების შემუშავებასა და კვლევასთან დაკავშირებული ნაშრომების მიმოხილვა მიგვითითებს შესაბამისად, მათში განხორციელებადი პროცესების კვლევის მეთოდებისა და მეთოდიკების ეფექტურობის შემდგომი ამაღლების, მათი ახალი სტრუქტურული და კონსტრუქციული სქემების შემუშავების სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანის აქტუალურობაზე.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს

თანამედროვე ავტომატიზებულ მანქანებში და მანქანათა კომპლექსებში ფართოდ გამოყენებული ამბრავთა, კერძოდ რთულპროფილიანი დეტალების დამუშავებისათვის გამიზნული მრავალგანზომილებიანი მრავალკონტურიანი მაკოპირებელი და პროგრამული მართვის ჩარხებში და რობოტოტექნიკურ სისტემებში მომუშავე მრავალკონტურიანი მოთვალთვალე სისტემების ახალი სქემების და მოდელების, დინამიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდების შემუშავებას, მიმართული განსახილველი ამბრავების პროექტირების, კვლევის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

აღნიშნული მიზნის მიმართულებით კვლევის ამოცანებში ჩართულია:

- საკვლევი ამბრავთა სისტემების ფუნქციონირების, სტრუქტურული და კინემატიკური აგების, დინამიკური მეთოდების და კვლევის მეთოდიკების ანალიზი და კვლევის ამოცანების ფორმირება;
- რთულპროფილიანი ზედაპირების დამუშავებისათვის გამიზნული პროცესების ფუნქციონალური ანალიზი და როგორც შედეგი

სამკოორდინაციანი კოპირების როტორულ-სახეხი ჩარხის ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე ამძრავის ცალკეული ელემენტებისა და მთლიანობაში სისტემის მოძრაობათა სტრუქტურული მოდელის შემუშავება;

- საკვლევი ჩარხის მრავალგანზომილებიანი მოთვალთვალე ამძრავში სახეხი პნევმოცილინდრების, ნამზადის ზედაპირთან კონტაქტის წერტილების, პნევმოცილინდრების ღერძების, საჩარხო როტორისა და მმართველი რგოლის ფარდობით მოძრაობათა ამსახველი კინემატიკური დამოკიდებულებების შემუშავება ნამზადის გრძივი და როტორის ბრუნვითი მოძრაობების პროცესებთან ურთიერთკავშირში;
- ცალკეული ფუნქციონალური ელემენტებისა და ცალკეული კოორდინატების ჰიდრომექანიკური მექანიზმების მოდელების ანალიზისა და მათი შეთანწყობით მთლიანი მოთვალთვალე სამკოორდინაციანი კოპირების ჰიდრომექანიკური სისტემის დინამიკური მოდელების შემუშავება და დინამიკური სინთეზის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება;
- რთული სტრუქტურის საკვლევი ელექტრომექანიკური ამძრავის დინამიკური მოდელირება რეგულირებისა და მართვის მამლიერებელი და გარდამქმნელი ელემენტების ცალკეული მოდელების შერწყმით დრეკადრგოლებიანი მექანიკური ნაწილის აპროქსიმაციულ მოდელებთან;
- მიღებული მოდელების გამოყენებით განხილვადი მოთვალთვალე სისტემების გადამცემი ფუნქციების, დინამიკური სტრუქტურული სქემების ანალიზისა დინამიკური სინთეზის ორიგინალური მეთოდების და მეთოდიკების შემუშავება.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს:

- საკვლევი მრავალკონტურიანი, მრავალგანზომილებიანი როტორულ-სახეხი ჩარხის სამკოორდინაციანი კოპირების ჰიდრომექანიკური მოთვალთვალე ამძრავის შემუშავებულ ორიგინალური სახის სტრუქტურულ სქემაში, მოთვალთვალე სისტემის ორიგინალურ მოდელებში და კვლევის მეთოდებში.

– რთული სტრუქტურის საჩარხო ელექტრომექანიკური ამძრავების დინამიკური მოდელირების, გარდამავალი პროცესების მიხედვით სინთეზის მეთოდში, სინთეზირებადი პარამეტრების ოპტიმიზაციური გაანგარიშების მეთოდიკების და მეთოდების ორიგინალურ მეთოდოლოგიურ მიდგომებში.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენენ: მაკოპირებელი ჩარხის მრავალკონტურიანი, მრავალგანზომილებიანი მოთვალთვალე ამძრავის და საჩარხო მრავალკონტურიანი ელექტრომექანიკური ამძრავის კინემატიკური და დინამიკური მოდელირება, ორიგინალური კინემატიკური და სტრუქტურული სქემების დინამიკური სინთეზის ორიგინალური მეთოდები და მეთოდიკები, მიმართული ამ სისტემათა ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებისკენ.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ამპრაავთა სისტემები მექანიკის ინჟინერიაში

მანქანათა სისტემებში ფართოდ გამოიყენებიან სხვადასხვა სახის ამპრაავთა ელექტრომექანიკური, ელექტროჰიდრო, პნევმო და ელექტროპნევმო სისტემები. ხშირ შემთხვევებში აგრეთვე საქმე გვაქვს პირდაპირი მოქმედების მექანიკურ ამპრაავებთან [1-7]. მანქანისათვის, ამპრაავის შერჩევა დაკავშირებულია მისი ახალი სქემის და კონსტრუქციის შემუშავებასთან.

პირდაპირი მოქმედების ამპრაავებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს მაკოპირებელ ჩარხებში. მათი ღირსებებაა კონსტრუქციის სიმარტივე და დაბალი ღირებულება [7, 8].

გამოიყენება ელექტრომექანიკური ამპრაავები, რომლებიც აგებული არიან მუდმივი დენის და ასევე, სპეციალურ ასინქრონულ დაბალინერციულ, მაღალმომენტურ და ვენტილურ ძრავებზე [3, 9-11]. უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროძრავებში (ედ) სწრაფქმედება დაკავშირებულია ღუზის ინერციის მომენტის შემცირებასთან. ელექტროძრავების აგზნება ხორციელდება მუდმივი მაგნიტებისაგან. გავრცელებულია ძრავები, რომელთა დისკური ღუზის სიგრძე აღემატება დიამეტრს. ვენტილური ძრავები (ვძ) მიეკუთვნებიან ელექტროამპრაავებს სინქრონული ძრავით და ინვენტორით. უკანასკნელის მართვა დამოკიდებულია ძრავას ლილვის მობრუნების კუთხეზე. ვენტილურ ძრავებში ხორციელდება უმასო აგზნება [10, 12-14], რის გამოც, შესაბამისად ბრუნვის სიხშირე იზრდება 4500 - 6000 ბრ/წთ-მდე.

ელექტრომექანიკური მოთვალთვალე ამპრაავები წარმოადგენენ ჩაკეტილ დინამიკურ სისტემებს [13]. მათ მიერ ჩარხებში ხორციელდება მჭრელი იარაღების მოძრაობები, გლინების გადაადგილებები საგლინ ბლუმინგებში, ასევე ხორციელდება მანიპულატორების და რობოტების შემსრულებელი ორგანოების მართვა [1-6].

ელექტროამპრაავებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს სხვადასხვა სახის მოწყობილობათა ელემენტების მართვის პროცესების ავტომატიზაციისათვის.

მათი მაგალითებია: თვითმფრინავების საჭის მექანიზმების [4, 5] და რადიოსალაკაციო სადგურების მოთვალთვალე ამძრავები და ა.შ.

ასეთ ამძრავებში ფართოდ გამოყენება ჰპოვეს კუთხური კოორდინატის (სგ) და სიჩქარის ცვლილების გადამწოდებმა (კგ). მათი მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდნენ დაბალი ინერციულობის, მაქსიმალური მგრძობიარობის, სტაბილურობის, წრფივობის და ერთმნიშვნელობის მოთხოვნებს.

ელექტრული გადამწოდები კლასიფიცირდებიან როგორც გენერატორულები და პარამეტრულები. სიგნალების ტიპების მიხედვით გადამწოდები მიეკუთვნებიან ანალოგურებს და ციფრულებს.

სიჩქარის რეგისტრაციისათვის როგორც წესი იყენებენ მბრუნავ ტრანსფორმატორებს, ტაქოგენერატორებს, კოდურ და ფოტოელექტრულ გადამწოდებს და სხვა.

გამაძლერებელი მოწყობილობების სახით გამოიყენებიან ინტეგრალურ მიკროსქემებზე აგებული, კერძოდ ტრანზიტორული და სიმძლავრის ტირისტორული მაძლერებლები [19-21]. ასეთი სისტემები მიეკუთვნებიან მრავალკონტურიანებს.

ცნობილია საჩარხო შპინდელის ბრუნვის რეგულირების მუდმივი დენის ანალოგური სისტემა. ეს სისტემა საკმაოდ კარგად პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს ბრუნვის სიხშირის, მაჩვენებლების სტაბილურობის, გადაადგილებათა შეთანწყობის, გარდამავალი პროცესების დინამიკის და საიმედოობის მხრივ. სისტემა წარმოდგენილია ცდომილების კომპენსაციის მქონე მოთვალთვალე სისტემის სახით. აქ მიმწოდებელ და შემსრულებელ ორგანოებად გამოიყენებიან ტირისტორული გარდამქმნელით აღჭურვილი ელექტროძრავები და რეგულირებად ორგანოთა გაუთანხობის კუთხის რეგისტრაცია ხორციელდება ტრანსფორმატორებით.

ელექტრომექანიკურებთან ერთად ფართო გავრცელება ჰპოვეს ჰიდრავლიკურმა და ელექტროჰიდრავლიკურმა ამძრავებმა. ისინი ჩარხმშენებლობაში წარმატებით გამოიყენებიან აგრეგატულ ჩარხებში და

ავტომატურ ხაზებში, სხვადასხვა სახის ოპერაციების შემსრულებლად. წარმოადგენს მრავალი სახის პროგრამული მართვის სისტემებში [14-16].

აეროკოსმოსურ ტექნიკაში აღნიშნულმა სისტემებმა გამოყენება ჰპოვეს მართვის სისტემებში ავტოპილოტების, ბუსტერების, შემსრულებელი მოწყობილობების და დამიზნების სისტემების სახით [5].

ჰიდრავლიკურმა მოთვალთვალე ამძრავებმა ფართო გამოყენება ჰპოვა: დამამზადებელ-სამტამპავი და სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობების ავტომატიზაციისათვის [17], სპეციალურ სტენდებში და აგრეთვე სხვადასხვა სახის მანქანა-დანადგარებში.

ჰიდრო და ელექტროჰიდრო ამძრავები ფართოდ გამოიყენებიან გემებზე. აღჭურვილნი არიან ცვლადი მწარმოებლურობის ტუმბოებით, ელექტრული უკუკავშირიანი დგუშით და სხვა [6].

ჰიდრავლიკურმა ამძრავებმა დროსელური რეგულირებით (ჰმად) ფართო გამოყენება ჰპოვეს ტექნიკურ სისტემებში, სადაც საჭიროა მაღალი სწრაფქმედება, მცირე ზომები და მასები. მრავალ შემთხვევაში მათი ჰმად გამოყენება, განპირობებულია სტრუქტურული სიმარტივით და დაბალი თვითღირებულებით.

ჰიდრავლიკური ამძრავები მოცულობითი რეგულირებით - (ჰმამ) - აგრეთვე ფართოდ გამოიყენებიან თანამედროვე მოწყობილობებში. მათთვის დამახასიათებელია მარგი ქმედების მაღალი კოეფიციენტი და მუშა სითხის ნაკლები გაცხელება.

ტექნიკაში გარკვეული გავრცელება ჰპოვეს კომბინირებულმა ამძრავებმა [19].

ელექტროჰიდრავლიკურ კომბინირებულ ამძრავებში ელექტრული მართვა შეთანწყობილია ჰიდრავლიკურ შემსრულებელ მექანიზმებთან, რაც აადვილებს ამძრავთა საჭირო მახასიათებლების მიღებას. მაკორექტირებელი მოწყობილობების შემოტანას [14, 19]. განხილვადი სისტემები ელექტრო გადამწოდებთან, ელექტრომაკორექტირებელ და გამაძლიერებელ ელემენტებთან ერთად თავის სტრუქტურებში მოითხოვენ ელექტრო-

ჰიდრავლიკურ და ელექტრომექანიკურ გარდაქმნელებს ორკასკადიან და ერთკასკადიან მკვეთარულ სისტემებს, რომლებიც მოიცავენ საქშენ-საფარიან გაძლიერებას პირველ კასკადში [14]. ასეთი ამძრავების გამოყენება რიცხოვრივი პროგრამული მართვის ჩარხებში საშუალებას იძლევა, რათა მიღებულ იქნას მაღალი მახასიათებლები, მგრძობიარობის, გადაადგილების სიზუსტის და სიჩქარის თვალსაზრისით.

ამასთან ერთად ასეთი სისტემები აღიჭურვებიან უკუკავშირებით ჰიდროამძრავებში არეებათაშორის წნევათა სხვაობის ან და გამავალი რგოლის აჩქარების მიმართ. პირველ შემთხვევაში დამატებითი უკუკავშირი შემოაქვთ ძრავასთან დაკავშირებით ჰიდრომილისებში ჩართული დიფერენციალური გადამწოდებიდან, მეორე შემთხვევაში კიდევ სისტემაში შემოაქვთ ძრავას გამომავალ ლილვთან შეერთებული ტაქოგენერატორი და წარმოებულის გამომუშავებული მოწყობილობა. ეფექტი გამოისახება სისტემათა დემპფირებაში და შესაბამისად რხევადობის შემცირებაში.

ავტომატური მართვის თანამედროვე კონტროლისა და რეგისტრაციის სისტემებს ხშირად წარედგინებათ ამოცანები, რომელთა გადაჭრა მოითხოვს ანალოგურ და ციფრულ საშუალებათა ერთდროულ გამოყენებას. მათ მიეკუთვნებიან ანალოგურ-ციფრული სისტემები (აცს), ისინი იძლევიან საშუალებას, რათა განხორციელებული იყოს რთული რეგულირების კანონები და ინფორმაციათა წარმოდგენის ფორმები. შეუძლიათ აწარმოონ სიგნალების ფუნქციონალური და ინტეგრო-დიფერენციალური გარდაქმნები და ა.შ.

ანალოგური სისტემები ხასიათდებიან უწყვეტი მოქმედებით და განსხვავდებიან სიმარტივით, მაგრამ გააჩნიათ შედარებით დაბალი სიზუსტე. ციფრული მოწყობილობები მიეკუთვნებიან დისკრეტული მოქმედების ელემენტებს, მათთვის დამახასიათებელია მაღალი სიზუსტე, შეუძლიათ ანალოგური ტექნიკის მიერ შეუსრულებელი რთული ამოცანის ამოხსნა. უარყოფითი მხარეებია - მათი სირთულე და მაღალი ღირებულება. ამასთან ერთად ანალოგურ-ციფრული სისტემებია (აცს), კარგად ავლენენ

ცალკეულ დადებით მხარეებს. მოქმედების პრინციპის თანახმად ანალოგურ-ციფრული სისტემები შეიცავენ ინფორმაციის გარდამქმნელებს: ანალოგურს ციფრულში და ციფრულს ანალოგურში.

აგრეთვე საჭიროა განვიხილოთ მექანიკური სისტემები (მს), რომლებიც მიეკუთვნებიან ამძრავთა ნებისმიერი სისტემების მნიშვნელოვან ელემენტებს. მექანიკური სისტემები შეიცავენ ურთიერთდაკავშირებულ ძრავების, გადაცემების და მუშა ელემენტების ინერციულ მასებს [1]. ღია არაჩაკეტილ ამძრავებშიც კი, ენერგეტიკულ-გარდამქმნელ და მექანიკურ ნაწილს შორის, საქმე გვაქვს ძალოვან ჩაკეტილობასთან პირდაპირი და უკუკავშირების მეშვეობით. მოთვალთვალე სისტემაში კიდევ მექანიკური ნაწილი ნაწილობრივ ან/და მთლიანად შემოწდომილია უკუკავშირებით მდებარეობის მიხედვით. ეს კიდევ თავის მხრივ მნიშვნელოვნად აძლიერებს მის ზემოქმედებას მთლიან სისტემაზე [2].

ამძრავთა სისტემების დინამიკის ცნობილი აღწერები ხისტი რგოლებით მექანიზმებში იძლევიან საშუალებას მარტივი გზებით იქნას გათვალისწინებული მექანიკური ნაწილის ინერცია, შიგა და გარე მომენტები და ძალები, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ მექანიკური სისტემის მნიშვნელოვან ფიზიკურ თვისებებს. დრეკადი ელემენტების არსებობა მექანიზმებში მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მთლიანი სისტემის დინამიკაზე. გარდამავალი პროცესების კვლევებთან დაკავშირებული ვ. ვეიტცის, ა. გოლუბენცევის, ს. კაზაკის, ს. კოჟენიკოვის, ვ. კუდინოვის, მ. კოლოვსკის და სხვათა ნაშრომები მიგვითითებენ მექანიკურ მოძრაობათა რხევით ხასიათზე.

ელექტროჰიდრავლიკური ამძრავები ფართოდ გამოიყენებიან რობოტოტექნიკაში. მისი გავრცელება აისახება მაღალი სწრაფქმედებით და ენერგოტევადობით, დატვირთვის მახასიათებლების მნიშვნელოვანი სიხისტით, რაც გამოწვეულია მუშა სითხეების მცირე კუმშვადობით. ძრავების სახით ფართო გამოყენება ჰპოვეს წინსვლითი მოძრაობის მქონე წრფივმა ჰიდროცილინდრებმა და ასევე, ბრუნვითმა ჰიდროძრავებმა.

პოზიციურ და კონტურულ სისტემებში გამოიყენებიან ელექტრო-ჰიდრავლიკური მოთვალთვალე ამძრავები წრფივი ჰიდროცილინდრებით, ბრუნვითი ჰიდროძრავებით, ასევე წინსვლითი და ბრუნვითი მოძრაობის ელექტროჰიდრავლიკური ბიჯური ამძრავები [13, 15-17].

ავტომატიზირებულმა ამძრავებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს მაკოპირებელ ჩარხებში.

რთული ზედაპირის მქონე დეტალების დამუშავებისათვის უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება საკოპირე ჩარხები - მექანიკური და კიდევ ელექტრული და ჰიდრავლიკური მართვით; პროგრამული მართვის ჩარხები ბრტყელი და სივრცითი ზედაპირებისათვის [21-23].

საკოპირე ჩარხებთან მიმართებაში პროგრამული მართვის ჩარხებს გარკვეული უპირატესობები გააჩნია, კერძოდ: კოპირების დამზადებაზე ხარჯების არარსებობა, მათი რემონტი და შენახვა [24, 25]. მაგრამ, გარკვეულმა სირთულეებმა მართვის პროგრამის მომზადების თვალსაზრისით და ასევე მათ სპეციფიკასთან კავშირში მყოფი დამატებითი მოთხოვნების არსებობამ, განაპირობა საკოპირე ჩარხების ფართო გამოყენება. შეიძლება აღვნიშნოთ საფრეზავი-საკოპირე ჩარხები შტამპებისა და პრესფორმების, სანიჩბავი ხრახნების და ჰიდრავლიკური ტურბინების ფრთების დასამუშავებლად [4, 25-29].

საკოპირე-სახე ჩარხებს შორის აღსანიშნავია ნიჩბების დასამუშავებელი СИЛН, СИВК, УХОЛ მოდელები ლენტურ-სახე ჩარხები და დიდი დიამეტრის ფასონური სხეულების სახე ჩარხები, კერძოდ, ჩარხი XIII-152.

ხის დამუშავებაში გამოიყენება ჰპოვეს საკოპირე-საფრეზმა ჩარხებმა – „Reichenbacher“ (გფრ) და „Zucerman“ (ავსტრია) [28].


ფირმა „Zucerman“-ის ცნობილ ჩარხს წარმოადგენს მრავალშპინდელიანი საკოპირე-საფრეზავი ჩარხი.

ცნობილია აგრეთვე ШЛДБ-3 [29] მოდელის ჩარხი, რომელიც განკუთვნილია მცირე ზომის ცილინდრული და კონუსური ზედაპირების გასახეხად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო საკონსტრუქტორო ინსტიტუტის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ შექმნილი და წარმოებაში დანერგილია ავეჯის დეტალების სახეები ნახევრადავტომატური ხაზი, რომლის კონსტრუქცია დაცულია რიგი საავტორო უფლებებით (№№ 730542, 806376, 865616, 1054027, 1060425, 1135616).

აღნიშნული საჩარხო სისტემების ფუნქციონალურ განვითარებას წარმოადგენს მრუდწირული ძელური ცვალებადკვეთიანი დეტალების ორკოორდინატიანი მაკოპირებელი ჩარხი, რომლის სქემა მოყვანილია ნახაზ 1-ზე.

ზამბარებით 7, 12 და 13 ჩარხის მუშაობის დროს ხორციელდება მოთვალთვალე მექანიზმების მოყვანა საწყის მდგომარეობაში, ხოლო დემპფერები 9 და 14 ემსახურებიან რხევების ჩახშობას.



ნახ. 1. ორკოორდინატიანი პირდაპირი კოპირების სახეები ჩარხი

ტექნოლოგიური პროცესის განხორციელების დროს რთულპროფილიანი დეტალის კონტურზე შეგუება ჩარხში განხორციელებულია, ერთის მხრივ ოთხრგოლა მექანიზმის (10, 11, 15) და მეორეს მხრივ ბარბაცაზე 10 დამონტაჟებული როტორის 3 ქანაობით

მხრეულებზე 11 და 15. ნამზადზე სახეხი ცილინდრების მიჭერის ძალა უზრუნველყოფილია ზამბარების 7 და ჰაერის წნევის რეგულირებით სახეხ ცილინდრებში.

ჩარხის კონსტრუქცია ითვალისწინებს მუშაობას, როგორც ორკოორდინატიან, აგრეთვე ერთკოორდინატიან რეჟიმებში.

აღწერილი მაკოპირებელი ჩარხის დამუშავების ხარისხის და მწარმოებლურობის შემდგომი ამაღლების თვალსაზრისით პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საჩარხო სისტემის აღჭურვა პნევმო და ჰიდროსისტემებით [22, 30 - 35].

აღნიშნულის თანახმად აღსანიშნავია პნევმატიკური მიმჭერი მექანიზმების მქონე და კოპირების ჰიდრომექანიკური სისტემის შემცველი როტორულ-სახეხი ჩარხები [30]. აღნიშნულ სისტემათა სქემების აღწერა მოცემულია განხილვადი ნაშრომის შემდგომ თავებში.

1.2. მექანიზმების, ამძრავების და მანქანების პროექტირებისა და კვლევის საკითხები

ნებისმიერი მანქანისა და მოწყობილობების პროექტირება იწყება მექანიზმების სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისაგან, რომლებიც განხილულია დიდი რაოდენობით ცნობილ ნაშრომებში და მათ შორის აღსანიშნავია ი. ი. არტობოლევსკის [36–38] ნაშრომებში. მექანიზმების სინთეზის საკითხები კარგად არიან წარმოდგენილი ნ.ი. ლევიტსკის და ს.ა. ჩერკუდინოვის და სხვათა შრომებში [39–41].

ვ. ა. აკუდინოვის ნაშრომში [42] განიხილება საჩარხო მოწყობილობების დინამიკური კვლევის საკითხები, ჩამოყალიბებულია ჩარხების დინამიკური ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა და დინამიკური სინთეზის ორიგინალური საკითხები.

მიწოდების რაციონალური ტექნოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა, მაღალი დამუშავების სიზუსტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ოპტიმალური წარმადობის და მართვის საკითხები მოცემულია ფ.მ. მანჟოსის ნაშრომებში [43].

ვ.ლ. ბიდერმანის და მ.ფ. დიმენტბერგის ნაშრომში [44, 45] გარჩეულია წრფივი და არაწრფივი რხევების თეორიის საკითხები, მოყვანილია სისტემების იდენტიფიკაციის მეთოდები რხევების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. საკითხების გადაწყვეტა ხორციელდება ანალიზურად და კომპიუტერული მოდელირების გზით.

ნაშრომში [46] ყურადღება ექცევა ჰიდრაულიკური დემპფერების შემოტანას და ბლანტი ხახუნის მქონე მექანიკური სისტემების რხევების თეორიულ და ექსპერიმენტულ საკითხებს, დემპფერების პროექტირებისათვის საჭირო მონაცემებს.

ვ. ა. ვალმოვის ნაშრომში [47] განხორციელებულია სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა გალერკინის მეთოდის გამოყენებით. გაანალიზებულია რხევების სიხშირული შემდგენები.

დინამიკის ამოცანის ამოხსნისას მივდივართ მიახლოებითი რიცხვით-ანალიტიკური და სიხშირული მეთოდების შემუშავების აუცილებლობასთან. პერსპექტიულს წარმოადგენს კომპიუტერებზე პრაქტიკულად რეალიზებადი ამოცანების შემცველი რიცხვით -ანალიზური მეთოდები.

ნაშრომებში [45-53] განხილულია ამბრავთა მექანიკურ სისტემებში, არსებული დინამიკური მოვლენების კვლევების ორიგინალური საკითხები, ჩატარებულია სხვადასხვასახის კლასიფიცირების მოვლენები.

დრეკად სისტემებში მანქანის ელემენტები, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ ცალკეული ნაწილები, მიჩნეულია დრეკადებად, რა დროსაც მათი დეფორმაცია აღემატება სიხისტის ზღვარს. ერთი დრეკადი კავშირის მქონე სისტემას უწოდებენ ერთკავშირიანს, ორი კავშირის დროს - ორკავშირიანს და ა. შ. დრეკადი კავშირები შეიძლება ხასიათდებოდნენ მუდმივი და ცვლადი სიხისტეებით. პირველ შემთხვევაში რხევითი პროცესებისა და დრეკადობის კვლევისას, როგორც წესი დავდივართ მუდმივ კოეფიციენტიანი წრფივი განტოლების ამოხსნამდე. იმავე მოვლენების კვლევისას მეორე შემთხვევაში დავდივართ არაწრფივ განტოლებებზე.

სისტემების წარმოდგენა შეიძლება იქნას ხისტი ან დრეკადი რგოლებით დაკავშირებული შეყურსული მასების სახით ან/და ელემენტთა განაწილებული მასების სახით. პირველ შემთხვევაში დინამიკის მათემატიკური მოდელები შეიძლება გამოსახული იქნეს ნიუტონის დიფერენციალური (ხისტი კავშირების დროს) ან ლაგრანჟის განტოლებით (დრეკადი კავშირების დროს). შეყურსულ მასათა რაოდენობის შესაბამისად სისტემას ეწოდება ერთმასიანი, ორმასიანი, სამმასიანი და ა.შ.

განაწილებული მასების მქონე დრეკადი სისტემის განხილვისას დავდივართ ე. წ. ტალღურ განტოლებებამდე.

ხისტი სისტემების დინამიკური ამოცანების დანიშნულებაა რათა მოცემული მომენტებით ან ძალებით განსაზღვრული იქნას სისტემის მოძრაობის კანონი, სისტემის ყველა წერტილის სიჩქარე და აჩქარება ანდა მოძრაობის მაჩვენებლების კანონის გათვალისწინებით განისაზღვროს მოქმედი ძალები.

დაყვანილი ძალები შეიძლება დამოკიდებული იქნეს x კოორდინატებზე, v სიჩქარეზე და t დროზე. დაყვანილი მასის მნიშვნელობა კი შესაძლოა იყოს დამოკიდებული მდებარეობის x კოორდინატზე. თანახმად იმისა, რომ კინეტიკური ენერჯის ნამატი მოქმედი ძალების მუშაობის ტოლია

$$d\left[\frac{m(x)v^2}{2}\right] = P(x, v, t)dx \quad (1)$$

ან

$$\frac{d}{dx}\left[\frac{m(x)v^2}{2}\right] = P(x, v, t) . \quad (2)$$

დიფერენცირებისას ვიპოვიით

$$\frac{v^2}{2} \cdot \frac{d[m(x)]}{dx} \frac{dv}{dx} m(x) = P(x, v, t) . \quad (3)$$

ან კიდევ შეგვიძლია გარდაქმნილი სახით,

$$m(x) \cdot \frac{d^2x}{dt^2} + \frac{1}{2} \frac{d[m(x)]}{dx} \cdot \left(\frac{dx}{dt}\right)^2 = P(x, v, t) . \quad (4)$$

მიღებული განტოლება მათემატიკურ ფორმაში ასახავს ნიუტონის კანონს, როდესაც $m(x) = const$ და $P(x, v, t) = cons$, იგი მარტივად მიიღებს შემდეგ სახეს

$$m \frac{d^2 x}{dt^2} = p. \quad (5)$$

თუ დაყვანილი სისტემა შეიცავს მბრუნავი მასის ინერციის მომენტს $J(\varphi)$ და ძალთა მომენტს M დამოკიდებულებს φ კოორდინატზე, $\omega = \frac{d\varphi}{dt}$ კუთხურ სიჩქარეზე და t დროზე, მაშინ დიფერენციალური განტოლებას ჩავწერთ შემდეგნაირად:

$$J(\varphi) \frac{d^2 \varphi}{dt^2} + \frac{1}{2} \cdot \frac{d}{d\varphi} [d(\varphi)] \left(\frac{d\varphi}{dt} \right)^2 = M(\varphi, \omega, t) \dots \quad (6)$$

თუ $J(\varphi) = const$ და $M(\varphi, \omega, t) = const$ მივიღებთ

$$J \frac{d^2 \varphi}{dt^2} = M. \quad (7)$$

გარდა აღნიშნული მეთოდისა, არსებობს აგრეთვე გრაფიანალიტიკური და გრაფიკული მეთოდები.

დრეკადკავშირებიანი სისტემების დინამიკის ამოცანები, როგორც წესი დაკავშირებულნი არიან თვისებათა ცვლილებების განსაზღვრასთან, ელემენტების დინამიკური დატვირთვების მაქსიმალურ მნიშვნელობების და სისტემათა რეზონანსული მდგომარეობების პირობებში.

თანამედროვე მანქანებში გამოყენებული ამძრავთა რეალური მოთვალთვალე სისტემები, ხშირ შემთხვევაში მიეკუთვნებიან რთულ არაწრფივებს, ზოგჯერ კი არასტაციონარულებს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათი დაპროექტების და კვლევის საკითხებს [14, 54-59].

თავისუფალი და იძულებითი რხევების კვლევის მეთოდოლოგიები, დაფუძნებულნი არიან ა. მ. ლიაპუნოვის მოძრაობათა მდგრადობის ფაზური სივრცეების გეომეტრიული აგების ტიპოლოგიურ, დიფერენციალურ განტოლებათა ხარისხობრივ ფუნდამენტურ თეორიებზე, გადამცემი ფუნქციების და სისტემების სიხშირულ მახასიათებლებზე აგებულ სხვაობათა მეთოდებზე და ა. შ. [63 - 65]. ისინი საშუალებას იძლევიან

მივიღოთ დასაბუთებული შედეგები, მაგრამ როგორც წესი ძალიან რთულია ინჟინრული გათვლების რეალიზაციის პროცესებისათვის. ამიტომ, ზუსტ მეთოდებთან ერთად ძალზედ მნიშვნელოვანია მიახლოებითი მეთოდების გამოყენება. ისინი ხასიათდებიან პრაქტიკული გამოთვლების სიმარტივით და გამოვლენილი მნიშვნელობების გარკვეულ არეში პარამეტრებისა და სტრუქტურის შემდგომი დაზუსტების საშუალებით. ძალიან ხშირად გამოყენების სიმარტივეს აქვს დიდი მნიშვნელობა, რაც აისახება იმით, რომ თანამედროვეობაში ნებისმიერი არაწრფივი პროცესების საკმარისად, დეტალური და ზუსტი დინამიკური კვლევა შეიძლება განხორციელდეს კომპიუტერული მოწყობილობების გამოყენებით.

არაწრფივი სისტემების მიახლოებითი კვლევისთვის ფართო გამოყენება ჰპოვეს ჰარმონიული გაწრფივების, ჰარმონიული ბალანსის და ა.შ. მეთოდებმა [60-65].

სხვადასხვა სახის მიახლოებითი გათვლის მეთოდები, განხილულია აგრეთვე ი. ა. ორურკის, ვ. ი. სტანკევიჩის, ი. ი. კრინეცკის და სხვათა ნაშრომებში [54, 63-65].

სტრუქტურულად რთული სისტემების კვლევის ეფექტურ მეთოდთა შორის, აგრეთვე აღსანიშნავია სინთეზის მეთოდები წინასწარ მოცემული გარდამავალი პროცესების მიხედვით, რომლებიც აგებულია სინთეზის გარდაქმნილი მახასიათებლების გამოყენებაზე [66-69].

ამის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ მახასიათებლების საკმაოდ ზუსტი დამთხვევა სიხშირების მნიშვნელოვან არეში პირდაპირაა დაკავშირებული ორიგინალების დამთხვევასთან [70-72].

ორიგინალის $f(t)$ წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებელს მივიღებთ თუ $F(p) \doteq f(t)$ ფუნქციაში, სადაც p არის ლაპლასის ოპერატორი. შემოვიტანთ გარკვეულ რიგ საგნობრივ $p = \delta$ მნიშვნელობებს და δ -ს განვიხილავთ წარმოსახვით სიხშირის $\omega = -j\delta$ სახით.

ორიგინალებთან წარმოსახვით სიხშირეთა მახასიათებლების სიახლოვის პირობაზეა აგებული გარდამავალი პროცესების მიახლოებითი განსაზღვრის მეთოდი.

უფრო ზოგადი მიდგომით წარმოსახვით სიხშირეთა მაპროქსიმირებელი მახასიათებლები აგებულია საძიებელი a_i და b_i კოეფიციენტების შემცველი შემდეგი სახის

$$F^\circ(p) = \frac{b_0 + b_1 p + b_2 p^3}{a_0 + a_1 p + a_2 p^3 + p^3}; \quad (8)$$

$$F^\circ(p) = \frac{b_0 + b_1 p}{a_0 + a_1 p + a_2 p^2}. \quad (9)$$

გამოსახულების გამოყენებაზე.

პირველ რიგში აღნიშნული მახასიათებლები ითვალისწინებენ ზღვრულ $F^\circ(o)$ და $F^\circ(\infty)$ მნიშვნელობებს.

სინთეზის პროცესში a_i და b_i სიდიდეები მოცემულია და საძიებლებს მიეკუთვნებიან $F(p)$ რეგულირებადი კოორდინატის გამოსახულებაში არსებული კოეფიციენტები. ზოგადი მიდგომით სინთეზირებადი და სასურველი კოორდინატების გამოსახულებები ჩაიწერებიან ასე:

$$F(p, \sigma_j) = \frac{M(p) + \sum_{j=1}^S \sigma_j M_j(p)}{N(p) + \sum_{j=1}^S \sigma_j N_j(p)} = x(t) \quad (10)$$

და

$$F^\circ(p) = \frac{M^\circ(p)}{N^\circ(p)} = x^\circ(t), \quad (11)$$

სადაც M° , M , N° და N – ცვლადის გარკვეული პოლინომები, σ_j – სინთეზისათვის გამიზნული კოეფიციენტები (პარამეტრები).

ვაწარმოებთ პროცესების ინტეგრალურ მიახლოებას

$$(p, \sigma_j) \cong F^\circ(p), \quad (12)$$

რომელიც გაშლილი სახით ჩაიწერება ასე:

$$M^\circ(p) \sum_{j=1}^n \sigma_j N_j(p) - N^\circ(p) \sum_{j=1}^n \sigma_j M_j(p) = N^\circ(p) M(p) M^\circ(p) N(p). \quad (13)$$

მიღებული გამოსახულების (13) თანახმად ვწერთ პირობით განტოლებებს $p = \delta$ აპროქსიმაციათა l კვანძებში.

ნაშრომში [63] რეკომენდირებულია წარმოსახვითი δ_v სიხშირეთა განთავსება გეომეტრიული პროგრესიის მიხედვით

$$\delta_v = \delta_0 q^{-v}, \quad v = 0, \dots, k-1,$$

რომლის მნიშვნელობა $q = 2$.

შემდგომ პირობითი განტოლებები მრავლდებიან $\lambda_v(\delta_v)$ ნამრავლზე, რომელთა განსაზღვრისათვის საჭირო მათემატიკური გამოსახულებები მოყვანილია ნაშრომში [73].

სინთეზის მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი ეტაპია დინამიკური მდგრადობის პირობის შემოტანა, ვარირებადი (ერთი ან ორი) პარამეტრის შერჩევის მეშვეობით.

